

სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის რეგლამენტი

პრეამბულა

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის გაძლიერებისა და ხელშეწყობისათვის, უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის გაღრმავებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის იქმნება სამეცნიერო კვლევების საბჭო, მოქმედებს სამეცნიერო კვლევების კოორდინატორი.

მუხლი 1. საქმიანობის მიმართულებები

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის გაძლიერებისა და ხელშეწყობისათვის, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების ბიუჯეტის განსაზღვრას (ცალ-ცალკე მუხლებში: აკადემიური პერსონალისათვის, სტუდენტებისათვის) - სამეცნიერო კვლევების საბჭოს წინადადების საფუძველზე და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად;

ბ) შესაბამისი ბიუჯეტის ფარგლებში, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტების ყოველწლიურად განსაზღვრას და სამეცნიერო კვლევითი კონკრეტული აქტივობების დაფინანსების საკითხების გადაწყვეტას;

გ) საგრანტო პროექტების მომზადებას, ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებას და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

დ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია/მართვას;

ე) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთათვის სამეცნიერო ფორუმების ჩატარების ორგანიზებას;

ვ) კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობასა და კვლევის კომპონენტის განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებში მონაწილეობას;

ზ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის საერთაშორისო ინტერაქტიული ხასიათის სემინარების, კონფერენციებისა და ვორკშოპების ორგანიზებასა ან/და გამართვას;

თ) სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებას და მასში, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფას;

ი) სამეცნიერო დანიშნულების წიგნადი და ციფრული რესურსით უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდების მონიტორინგსა და სრულყოფაზე/ გაძლიერებაზე ორიენტირებული წინადადებების შემუშავებას;

კ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

ლ) სხვა აქტივობების განხორციელებას, ყოველწლიურად განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად.

მუხლი 2. სამეცნიერო კვლევების საბჭო

ა) ამ რეგლამენტის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას ახორციელებს სამეცნიერო კვლევების საბჭო დამოუკიდებლად ან/და სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის კოორდინატორის მეშვეობით;

ბ) სამეცნიერო კვლევების საბჭო შედგება 7 წევრისგან და მისი შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით. სამეცნიერო კვლევების საბჭოს თანამდებობრივად ხელმძღვანელობს რექტორი (საბჭოს თავმჯდომარე), ხოლო შემადგენლობა ინიშნება 2 წლის ვადით შემდეგი წესით:

ბ.ა) თითოეული ფაკულტეტის საბჭო სამეცნიერო კვლევების საბჭოში წარადგენს ერთ პროფესორს (სულ - 4);

ბ.ბ) სტუდენტური თვითმმართველობა სამეცნიერო კვლევების საბჭოში წარადგენს თავისი შემადგენლობიდან 2 სტუდენტს.

გ) სამეცნიერო კვლევების საბჭოს მუშაობა კოლეგიალურია. სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის უმრავლესობა (4); გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით; თავის შეკავება კენჭისყრისას დაუშვებელია, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

დ) სამეცნიერო კვლევების საბჭო იკრიბება აკადემიური სემესტრის მანძილზე სულ ცოტა ერთხელ მაინც (წელიწადში - 2-ჯერ).

ე) რეგლამენტის პირველი მუხლის ა), ბ), და ი) პუნქტებით განსაზღვრული კომპეტენციების განხორციელება შესაძლებელია, მხოლოდ სამეცნიერო კვლევების საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 3. სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის კოორდინატორი

1. სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, ასევე სამეცნიერო კვლევების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსასრულებლად, უნივერსიტეტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის კოორდინატორის პოზიცია, რომელთანაც ფორმდება შრომის ხელშეკრულება;
2. კოორდინატორი ამ რეგლამენტის პირველი მუხლით განსაზღვრულ საქმიანობას ახორციელებს სამეცნიერო კვლევების საბჭოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ან/და სამეცნიერო კვლევების საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით;
3. კოორდინატორი ამ რეგლამენტის პირველი მუხლით განსაზღვრულ საქმიანობას ახორციელებს, ფაკულტეტის საბჭოებთან, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან მჭიდრო კოორდინაციით;
4. სამეცნიერო კვლევების საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (ინტერნეტში) გამოყოფილია სივრცე, რომლის ადმინისტრაციულ მართვასაც უზრუნველყოფს კოორდინატორი.